ო ქ მ ი N5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2020 წლის 28 მაისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 27 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ხობის ადმინისტრაციული ერთეულის (ქალაქი ხობი) ტერიტორიაზე არსებული ქუჩებისთვის სახელის გადარქმევისა და უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით (აღნაგობის ფორმით), გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჭოხონელიძე)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ხობის ადმინისტრაციული ერთეულის (ქალაქი ხობი) ტერიტორიაზე არსებული ქუჩებისთვის სახელის გადარქმევისა და უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ხობის ადმინისტრაციული ერთეულის (ქალაქი ხობი) ტერიტორიაზე არსებული ქუჩებისთვის სახელის გადარქმევისა და უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ხობის მუნიციპალიტეტის მერის წერილი სტალინის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილისა და მოქალაქე მურთაზ ჯანჯღავას განცხადების საფუძველზე ხობის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქუჩებისთვის სახელის გადარქმევისა და უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ. კერძოდ, წარმოდგენილი იყო შემდეგი სახის წინადადება: 1. სტალინის ქუჩისთვის საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების თაობაზე; 2. ბერიას ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სახელი მინიჭების თაობაზე; 3. სახელდების გარეშე დარჩენილი ქუჩა N1-თვის დიდი საეკლესიო მოღვაწის არქიმანდრიტ ალექსი მირცხულავას სახელის (საზღვრები: ე.წ. „ფუნიკულიორის აღმართი“ - არკადი მორგოშიას საკარმიდამო) მინიჭების თაობაზე; 4. სახელდების გარეშე დარჩენილი ქუჩა N2-თვის ცნობილი თეატრალური ოჯახის წარმომადგენლების პიერ და ბადრი კობახიძეების სახელის (საზღვრები: კვეთა მეუნარგიას ქუჩასთან - კვეთა კოლხეთის დასახლების ცენტრალურ შესასვლელ გზასთან) მინიჭების თაობაზე; 5. სახელდების გარეშე დარჩენილი ქუჩა N3-თვის „კოლხეთის“ (საზღვრები: კოლხეთის შესასვლელი - ყოფილი კოლხეთის მეურნეობის საცხოვრებელი ბინები) სახელის მინიჭების თაობაზე; 6. სახელდების გარეშე დარჩენილ ქუჩა N4-თვის სახელოვანი ლოტბარის ალიოშა ბერაიას სახელის (საზღვრები: მამუკა ალექსანდრიას საკარმიდამო - ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეული). ხობის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული ქუჩებისთვის სახელის გადარქმევისა და უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ და მოწონებულ იქნა წარმოდგენილი წინადადება. აღნიშნული საკითხზე კომისიის მიერ მოსახლეობასთან ჩატარდა კონსულტაციები,

გამოკითხვები და მათ მხრიდანაც მხარდაჭერილ იქნა მერიის მიერ წარმოდგენილი ინიციატივები. საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად, საკითხი შესათანხმებლად გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიას, რომლის 2020 წლის 10 მარტის N19 სხდომის ოქმის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიეცა თანხმობა ქ. ხობში არსებული ქუჩებისთვის სახელის გადარქმევისა და უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების თაობაზე. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ხობის ადმინისტრაციული ერთეულის (ქალაქი ხობი) ტერიტორიაზე არსებული ქუჩებისთვის სახელის გადარქმევისა და უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტი დამტკიცდეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჭოხონელიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N14 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით (აღნაგობის ფორმით), გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით (აღნაგობის ფორმით), გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის მერიაში შევიდა ფოთისა და ხობის ეპარქიიდან წერილი, რომლის საფუძველზეც მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ განხორციელდა ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის დაყოფა, სადაც ძველი ხიბულის მოსახლეობის ინიციატივით დაიგეგმა ტაძრის მშენებლობა. ხოლო 2020 წლის 25 მაისის N371 წერილით მერიას მიმართა თხოვნით სსიპ საქართველოს საპატრიარქომ აღნიშნული ფართის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით (აღნაგობის ფორმით) გადაცემის თაობაზე. მერიის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ძველ ხიბულაში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 45.17.21.360) 2284 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით (აღნაგობის ფორმით) ტაძრის კომპლექსის მშენებლობისთვის სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთვის 99 წლის ვადით გადაცემის თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჭოხონელიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N15 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2020 წლის 28 მაისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანტარია
4. დავით ზერაია
5. ტარიელ ალექსანდრია
6. თეა გელანტია
7. დოდო გაბუნია
8. მერაბ ფილიპია
9. თემური გულუა
10. ბექა მამაცაშვილი
11. შადიმან ჭილაია
12. კოსტანტინე ნასარაია
13. დავით ცინაძე
14. ნიკოლოზ ვეკუა
15. ირაკლი ნადარაია
16. მერაბი ნადარაია
17. გიგა ნასარაია
18. გენადი ქამანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. ლაშა ცატავა
21. ავთანდილ ხუნჯუა
22. გია წულაია
23. გოჩა ჯობავა
24. აკაკი ხურცლავა
25. იგორი გოგოლაძე
26. კობა გოქაძე
27. მზია ლემონჯარია